Generated by Foxit PDF Creator © Foxit Software
http://www.foxitsoftware.com For evaluation only.

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 528

გამარტივებული შესყიდვა

ქ. თერჯოლა 1 მაისი 2011წ.

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ერთის მხრივ ა(ა)იპ თერჯოლის დასუფთავების და კეთილმოწყობის მუნიციპალური სამსახური" (მისამართი: ქ. თერჯოლა,რუსთაველის ქ.№109, ს.ს. „ლიბერთი ბანკი"-ს თერჯოლის ფილიალი, ს/კ431945274ანგ. №GE29LB0115149052055000, ბანკის კოდი LBRTGE22 შემდგომში „შემსყიდველი" და მეორე მხრივ შ.პ.ს. "თეგეტა მოტორსი",(მისამართი: ქ. თბილისი დიღმის მასივი.ს.ს თიბისი ბანკის ცენტრალური ფილიალი. ბანკის კოდი TBCBGE22.საიდენტიფიკაციო კოდი ს/6202177205,ანგარიში GE80TB0600000024467853 შემდგომში „მიმწოდებელი" შორის და მიღწეულ იქნა ურთიერთშეთანხმება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 შემსყიდველმა „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტების შესაბამისად ავტომანქანის და ტრაქტორის სათადარიგო ნაწილების შეძენის მიზნით გამოიყენა გამარტივებული შესყიდვის შეთოდი, რისთვისაც შერჩეულ იქნა შ.პ.ს. „თეგეტა მოტორსი"

2. ხელშეკრულების ფასი

2.1 ხელშეკრულების სავარაუდო ფასია1000.00 (ათასი) ლარი.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობა.

3.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში შემსყიდველს მიაწოდოს საქონელი დანართი №1-ის მიხედვით.

ბ) მიწოდებული საქონელი აკმაყოფილებდეს დადგენილ სტანდარტებს.

3.2 შემსყიდველი ვალდებულია: აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება, ხელშეკრულების მე-4 პუნქტში განსაზღვრული წესით.

4. სამუშაოს მიღება-ჩაბარების წესი

4.1 საქონლის მიღება-ჩაბარება ხორციელდება ქ. ქუთაისში. მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

Generated by Foxit PDF Creator © Foxit Software
http://www.foxitsoftware.com For evaluation only.

5. ანგარიშსწორება

5.1 შემსყიდველი მიმწოდებელს გაწეული მომსახურეობის ღირებულებას აუნაზღაურებს ხელშეკრულების მე-3 მუხლით განსაზღვრული მომსახურეობის შესრულების შემდეგ, წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის (სასაქონლო ზედდებულის) საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

5.2 ანგარიშსწორებისათვის გამოიყენება გადარიცხვის ფორმა.

5.3 ანგარიშსწორებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- წერილობითი მოთხოვნა
- ანგარიშ-ფაქტურა (სასაქონლო ზედდებული)

6. გადასახადები და დაბეგვრა.

6.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდაზე.

7. ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები.

7.1 მხარეებს შეუძლიათ მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტონ ხელშეკრულება, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, აღნიშნულის შესახებ წერილობით შეტყობინებიდან 2 დღის ვადაში.

7.2 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

7.3. 6.2. პუნქტში მითითებულ შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტობრივად მიღებული საქონლის ღირებულება.

8. საჯარიმო სანქციები

8.1 ხელშეკრულების ცალმხრივი შეწყვეტისათვის მხარე იხდის პირგასამტეხლოს მეორე მხარის სასარგებლოდ 30 (ოცდაათი) ლარის ოდენობით ხელშეკრულების შეწყვეტიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.

8.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვადების დარღვევის შემთხვევაში მხარეები ჯარიმდებიან ხელშეკრულების ფასის 20 (ოცი) %-ით, ყოველ ვადაგადაცილებულ

Generated by Foxit PDF Creator © Foxit Software
http://www.foxitsoftware.com For evaluation only.

9. ფორს-მაჟორი

9.1 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებებისა და მისი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

9.2 ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგად ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა, ან ხელშეკრულების შესრულების შეფერხება არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1 ხელშეკრულების პირობების (გარდა ფასისა) გადასინჯვა შესაძლებელია მხარეების ინიციატივით.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1 ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა და უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში მხარეებს შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1 ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაში შედის, თუ ის გაფორმებულია წერილობით და დადასტურებულია ორივე მხარის მიერ.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაშია 2011 წლის 1 მაისიდან 2011 წლის 1 ივლისამდე.

14. სხვა პირობები

14.1 ხელშეკრულების ნაწილს წარმოადგენს დანართი №1, რომელშიც მოცემულია მისაწოდებელი საქონელის დასახელება, განზომილება, რაოდენობა და ღირებულება.

14.2 ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლიარად და თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა. ხელშეკრულების 1 ეგზემპლიარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო 1 ეგზემპლიარი – მიმწოდებელთან.

შემსყიდველი	მიმწოდებელი
ა(ა)იპ თერჯოლის დასუფთავების და კეთილმოწყობის მუნიციპალური სამსახური"-ს	შ.პ.ს. „თეგეტა მოტორსი"-ს
დირექტორი:	დირექტორი
რევაზ გაბრიაძე	გ. კოხოძე